PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - კოლეჯი „ფაზისის“ მიერ „თევზის გადამუშავების“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ (ქ. ფოთი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი

წევრი: ეკატერინე ნანობაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - კოლეჯი „ფაზისი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

■ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 5 აპრილის MES 6 21 0000325558 ბრძანების შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე - ლევან მადათოვი, წევრი - ეკატერინე ნანობაშვილი) დაევალა სსიპ - კოლეჯ ,,ფაზისის“ მიერ „თევზის გადამუშავების“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N№99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შესწავლილ იქნა დაწესებულების განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია, შემუშავდა დისტანციური გასაუბრების განრიგი. ონლაინ ჩართვა დაწესებულებასთან შედგა 2021 წლის 22 აპრილს. გასაუბრება შედგა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან და ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებთან. ხარისხის უზრუნველყოფაზე, ასევე სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, მოხდა მატერიალური რესურსების, მათ შორის ბიბლიოთეკის დათვალიერება და შედგა გასაუბრება პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან. ონლაინ შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა

V. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

VI. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	თევზის გადამუშავება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0831
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება - ცვლილება - N01/21, 23.03.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.ფოთი, კონსტიტუციის ქ.N54
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	158
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	105
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	188
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	135

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრულად შეესაბამება	სრულად შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრულად შეესაბამება	სრულადშეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IX. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,თევზის გადამუშავება“ ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის N41 გადაწყვეტილებით. დაწესებულების განაცხადით ხდება პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დირექტორის 2021 წლის 25 მარტის N01/20 ბრძანებით, განხორციელდა ცვლილება და დამტკიცდა მოდიფიცირებული სახით, ინტეგრირებულ მოდულებთან ერთად. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება გათვალისწინებულია დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას. ამასთან, კოლეჯს უკვე გააჩნია გამოცდილება ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა (მიმდინარე ეტაპზე ხორციელდება ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებით ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „სასტუმრო მომსახურება“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“)

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას, ხოლო საბაზო განათლებას - იმ სასწავლო გეგმაზე, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შესაბამისობაშია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან (ცვლილება მეთოდოლოგიაში) 30 პროფესიული სტუდენტიდან 15 სტუდენტის მიღება მოხდება არაინტეგრირებულ,ხოლო 15 ის მიღება მოხდება ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე.

4. როგორც ზემოთ აღინიშნა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება მოპოვებული აქვს დაწესებულებას ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, ინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში მითითებული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესთან და პირობებთან“ და ჩარჩო დოკუმენტთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. პროგრამაში გათვალისწინებულია 1 არჩევითი მოდული: უცხო ენა (რუსული). რომლითაც სტუდენტი შეძლებს პრაქტიკულ გამოყენებას პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კომუნიკაციისას.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ 2021 წლის 25 მარტის N01/20 ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან, შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია ჩარჩო - დოკუმენტი ,,მეთევზეობა“ 08305-პ -პ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს No170/ნ ბრძანება ,,საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების შესახებ“. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმები (ინტეგრირებული, არაინტეგრირებული,ქართული ენით და ქართული ენის გარეშე), რომელიც გაწერილია სამ წელზე, ადაპტირებული მოდულები, ინფორმაცია მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ, ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია,
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას „თევზის გადამუშავება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის A გარემოსთვის გათვალისწინებულია აქვს სივრცე - 32.1 კვ.მ. ფართი. რომელშიც განთავსებულია და მოწყობილია სპეციალობა თევზის გადამუშავება“ 15 პროფესიული სტუდენტისათვის (2 ცვლაში 30). პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; კოლეჯში მოწყობილია თევზის გადამუშავების სახელოსნო, სადაც მიმდინარეობს პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგების განხორციელება და დადასტურება. ასევე გარკვეული მოდულების პრაქტიკული სწავლის შედეგებს პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე. ასევე კოლეჯს გააჩნია სრული აღჭურვილობა ინტეგრირებული მოდულების სწავლებისათვის შესაბამისი A გარემოების გათვალისწინებით.

2. ინტეგრირებული მოდულებისათვის დაწესებულებას შერჩეული ყავს 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

3. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა მოხდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და კოლეჯის ჩართულობით, სამეტაპიანი შერჩევის გზით, მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. დამატებით, ინტეგრირებული მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გაიარეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებული ტრენგები. აღნიშნული მასწავლებლები უკვე ჩართულები არიან კოლეჯში „სასტუმრო მომსახურება“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულების განხორციელებაში. დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი ბრძანებით და გაწერილია ფუნქციები.
5. შემთხვევითი შერჩევის გზით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა ინტეგრირებულ მოდულებში მითითებული ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
7. ფინანსური რესურსით უზღუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა, პროგრამა დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ვაუჩერული წესით.ბიუჯეტი წარმოდგენილია განაცხადთან ერთად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური გასაუბრების განრიგი.

25.05.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: